დანართი №2

სსიპ – კასპის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

სახელი, გვარი - ნინო ქიტიაშვილი

წევრი:

სახელი, გვარი - ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კასპის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 205405480

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 09 ივლისის ბრძანება N MES 4 26 0000901768 საფუძველზე, 2026 წლის 24 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კასპის კოლეჯში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სსიპ კასპის კოლეჯი წარმატებით ახორციელებდა 2021 წლიდან „შედუღების“ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მაღალი მოთხოვნით გამოირჩეოდა აპლიკანტების მხრიდან და ინტერესს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც დასტურდება ბოლო წლების კოლეჯის სტატისტიკური მონაცემებით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის მომზადებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის სასწავლო აუდიტორიები და იმიტირებული სამუშაო გარემოს სახელოსნო. გარდა ამისა, ჩატარდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ინტერვიუებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა და შეაფასა დაწესებულების მზაობა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მიღების უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ განხორციელდა კოლეჯის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების მისამართის გადანომვრა. კერძოდ, ადრინდელი მისამართი - ქ. კასპი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №168ვ, გადანომვრის შედეგად დარეგისტრირდა ახალი ნუმერაციით ქ. კასპი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №178.

აღნიშნული ცვლილება სრულად არის დადასტურებული და დარეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ოფიციალური მტკიცებულებებით:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება (№882026333478-08): დოკუმენტით დასტურდება რეგისტრაცია დარეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების თაობაზე (განცხადების №882026333478, მიღების თარიღი: 23.04.2026). გადაწყვეტილების მიხედვით, სსიპ „კასპის კოლეჯის“ (ს/კ 205405480) უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 67.01.33.186) ოფიციალურ მისამართად განისაზღვრა: კასპის მუნიციპალიტეტი, ქალაქი კასპი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, №178.
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მომზადების თარიღი: 05/05/2026): უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 67.01.33.186, ნაკვეთის წინა ნომერი: 67.01.33.160) ამონაწერით დასტურდება, რომ 8997 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობა N1-ზე სსიპ „კასპის კოლეჯს“ (ს/კ 205405480) დარეგისტრირებული აქვს სარგებლობის უფლება არსებობის ვადით.

აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კოლეჯი საქმიანობას აგრძელებს იმავე უძრავ ქონებაზე, ხოლო მისამართის ცვლილება ატარებს მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ ხასიათს (გადანომვრა) და სრულად შეესაბამება საჯარო რეესტრის მონაცემებს

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 2. საგანმანათლებლო პროგრამები

კრიტერიუმი: 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ინდიკატორი 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის №741467 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“, რომლითაც განსაზღვრულია შედეგების პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის მობილიზება

წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად, იდენტიფიცირებული პრობლემის გამოსასწორებლად განსაზღვრულია კონკრეტული ნაბიჯები:

აქტივობა: გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში „შედეგების“ პროგრამისთვის საჭირო აღჭურვილობის სრული მოწოდება და მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მომზადება.

განხორციელების პერიოდი: 2026 წლის 17 ივნისიდან 14 დეკემბრამდე პერიოდი.

პასუხისმგებელი პირები: კოლეჯის დირექტორი, შესყიდვების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის მენეჯერი.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - „შედეგების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელი და სრულფასოვანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯმა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსისა და შესაბამისი აღჭურვილობის სრული მობილიზება და განთავსება სასწავლო სახელოსნოში.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფი იღებს ცნობად კოლეჯის მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში (26/08/2026, MES 4 26 0001101215) წარმოდგენილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს (მიღება-ჩაბარების აქტები №58-01, №58-02), რომელთა თანახმადაც ტენდერის (NAT260014171) ფარგლებში განხორციელდა C გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობის შესყიდვა.

თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 38-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება უშუალოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ადგილზე დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ვინაიდან ვიზიტის დროს აღნიშნული რესურსი ადგილზე განთავსებული არ ყოფილა, დასკვნის შედგენის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ვიზიტისას დაფიქსირებული შეფასების სტატუსი.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ კასპის კოლეჯმა წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში (№ MES 4 26 0001101215) დააფიქსირა, რომ ეთანხმება ვიზიტის დროს დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებას. ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია ვიზიტის შემდეგ განხორციელებული შესყიდვებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების (№58-01, №58-02) თაობაზე.
არსებული მდგომარეობით კოლეჯის მხრიდან გამოსწორებულ იქნა სსიპ – კასპის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ "ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა"-ში ასახული, კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სასწავლო აპარატურის დანაკლისი.
კოლეჯმა უზრუნველყო, კოლეჯის C გარემოსათვის ხუთი დასახელების შედუღების აპარატისა და ინვენტარის შესყიდვა NAT260014171 ელ. ტენდერის ფარგლებში, კერძოდ: 1) ერთი ერთეული ულტრაბგერით შედუღების აპარატი სიხშირის ავტომატური რეგულირებით., შედუღების დივერსიფიცირებული რეჟიმებით; 2) ერთი ერთეული „დანადგარი“ გახურებული იარაღით შედუღებისათვის 0,1 - 10 მმ სისქის და 50 მმ-მდე დიამეტრის მილების შედუღებისათვის: სოლი, დისკი, გორგოლაჭები"; 3) „სარჩილავი სანთურების კომპლექტი"; 4) ერთი ერთეული „აირალური შედუღების მოწყობილობა (აცეტილენის გენერატორი)", 5) 1 - კომპლექტი „სანთურა შლანგით არანაკლებ 3 მ“

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს სსიპ კასპის კოლეჯის მიერ C გარემოსთვის დროულ შესყიდვასა და მიღება-ჩაბარების აქტების წარმოდგენას. თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 38-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და მასში ასახული შეფასებები ეფუძნება საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას ადგილზე დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს.
ვინაიდან საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ფაქტობრივად განთავსებული არ ყოფილა C გარემოში და მათი შესყიდვა განხორციელდა ვიზიტის შემდეგ, დასკვნის შედგენის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ვიზიტისას დაფიქსირებული შეფასების სტატუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	03/06/2026 წლის N662343 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	კასპი. დ. აღმაშენებლის ქუჩა N178
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კასპის კოლეჯის გადაწყვეტილება „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმის (დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 14 დეკემბრის №10 ბრძანებით) პირველ სტრატეგიულ მიზანს - მიზანი 1. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების განხორციელება. დაწესებულების მისიას წარმოადგენს რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა და ხარისხიანი განათლების მიწოდება. ასევე რეგიონის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით. კოლეჯი მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებით, სოციალური პასუხიმგებლობის ფარგლებში, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს რეგიონის პროფესიულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეისწავლა შემდუღებლის პროგრამის განხორციელების საჭიროება რეგიონში, ასევე ქვეყანაში განხორციელებული კვლევები, საიდანაც დგინდება შემდუღებლის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა.

სსიპ კასპის კოლეჯმა „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების გადაწყვეტილების მიღებისას კომპლექსურ კვლევით, ანალიტიკურ და სტატისტიკურ მონაცემებს დაეყრდნო. კერძოდ, გადაწყვეტილება ეფუძნება პროფესიული უნარების სააგენტოს ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევას, რომელმაც შედუღების სპეციალისტები შიდა ქართლში დეფიციტურ პროფესიად გამოკვეთა, ასევე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს 2025 წლის ანგარიშს სამშენებლო და სამრეწველო სექტორში ტექნიკური კადრების მზარდი მოთხოვნის შესახებ. კოლეჯმა გააანალიზა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2025 წლის კვლევა, სადაც დასტურდება, რომ მრეწველობაში დასაქმებულთა 42%

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისშია კონცენტრირებული და მათი 77% დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის, ხოლო საქსტატის მონაცემებით, თბილისში მრეწველობის ბრუნვა 2006–2025 წლებში 600%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ტენდენციები (CEDEFOP, Eurostat), დასაქმების პორტალების (jobs.ge, hr.ge, worknet.gov.ge) და სოციალური ქსელების მონიტორინგის შედეგები, რომლებიც შემდუღებლების ვაკანსიების სტაბილურ დინამიკას ადასტურებს. გადაწყვეტილების მიღებისას კოლეჯი ასევე დაეყრდნო პარტნიორი დამსაქმებლების პირდაპირ უკუკავშირს, პროფესიული უნარების სააგენტოს კურსდამთავრებულთა კვლევას (სადაც ტექნიკური მიმართულებით დასაქმება 70%-ს აჭარბებს) და უშუალოდ კოლეჯის მიერ 2026 წელს კასპის ლოკაციაზე ჩატარებულ ადგილობრივ კვლევას, რომელმაც მომდევნო 2–3 წლის მანძილზე კვალიფიციურ შემდუღებლებზე გრძელვადიანი და სტაბილური მოთხოვნა დაადასტურა.

სსიპ კასპის კოლეჯის გადაწყვეტილება ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 03/06/2026, N662343 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია 2021 წლის 10 თებერვლის N10 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 2023 წლის 18 აგვისტოს N68 ბრძანება) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას და შესაბამის კანონმდებლობას.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. N25; 19.02.2021). დაწესებულება პროგრამას განახორციელებს A, B და C გარემოში. სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა შემდეგი მეთოდოლოგიით: A გარემო აღჭურვილია სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, ინტერნეტის სივრცეში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით; B გარემო - კომპიუტერული ლაბორატორიაა აღჭურვილი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. C გარემო - სასწავლო სახელოსნოს გარემოა. შესაძლებელია სამივე სასწავლო გარემოს გამოყენება ორ ცვლაში. დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით ორ ცვლაში.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობას პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.
ექსპერტთა მიერ დათვალიერდა საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა. შემოწმდა მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს; მოდულების შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა და მასალები სრული მოცულობითაა წარმოდგენილი, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის კოლეჯის ბიბლიოთეკაში.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს - ლითონების აირალური შედუღება-ჭრა და პლაზმური ჭრა რომელიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით და ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 03 ივნისის N662343 ბრძანებით.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით, სარეგისტრაციო ნომერი - 07.11.1
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ მოიცავს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მისაღწევი სწავლის შედეგებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, კვალიფიკაციას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად მოდულებს, პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული. ქართული ენის მოდულის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- 2021 წლის 14 დეკემბრის N10 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 2021 წლის 28 იანვრის N3 (ცვლილება: 2024 წლის 20 დეკემბრის N144 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების წესი”
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
- 2021 წლის 19 თებერვლის N25 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- 2021 წლის 10 თებერვლის N 10 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 2023 წლის 18 აგვისტოს N68 ბრძანება) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიურება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით, მათ შორის 15 პროფესიული სტუდენტით ერთცვლიანი სწავლების გათვალისწინებით. სტუდენტთა მიღება განხორციელდება ორ ეტაპად - ზაფხულის (15 ადგილი) და შემოდგომის (15 ადგილი). ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B და C გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:

A გარემო (აუდიტორია N203) - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, გარემოში განთავსებულია - 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სასწავლო გარემოში არის დაფა. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი.

B გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია - აუდიტორია 103) - გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე.

C გარემო - პრაქტიკის სივრცე (სასწავლო სახელოსნო) მეტწილად არის აღჭურვილი პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსით. პროგრამის განხორციელების ფორმა არის იმიტირებული სამუშაო გარემო. სახელოსნო განთავსებულია კოლეჯის ძირითად მისამართზე - შედუღების პროგრამის სასწავლო სახელოსნო. დაწესებულებამ წარმოადგინა „შესაბამისობის გეგმა“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N 741467 ბრძანებით), სადაც მითითებულია, რომ ,,შედუღების" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება საჭიროებს პროგრამის განაცხადის დანართში მითითებული აღჭურვილობის შეძენას. შეძენის ვადად განსაზღვრულია 6 თვე. შესაძენია ხუთი დასახელების შედუღების აპარატი და ინვენტარი - „ულტრაბგერით შედუღების აპარატი სიხშირის ავტომატური რეგულირებით. 400 ჰც, შედუღების დივერსიფიცირებული რეჟიმები. ხელმისაწვდომი სხვადასხვა სიხშირეზე 15, 20, 35, 40 კჰც. ხელოვნური ტყავის პლასტმასის და ქსოვილების შედუღებისათვის“, „დანადგარი გახურებული იარაღით შედუღებისათვის 0,1 - 10 მმ სისქის და 50 მმ-მდე დიამეტრის მილების შედუღებისათვის: სოლი, დისკი, გორგოლაჭები“, „სანთურა შლანგით არანაკლებ 3 მ“, „აირალური შედუღების მოწყობილობა (აცეტილენის გენერატორი)“, „სანთურების კომპლექტი“. იმ მოდულებზე, სადაც ხდება შესაძენი მატერიალური რესურსის გამოყენება, სწავლა იწყება მე-12 კვირის შემდეგ. დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განსაზღვრულია შემსრულებელი და შესრულების ინდიკატორები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

შესაბამისობის რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის C გარემოსთვის (სასწავლო სახელოსნო) შესაბამისობის გეგმით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 ივნისის N 741467 ბრძანებით) გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის (კერძოდ: ულტრაბგერითი შედუღების აპარატი, გახურებული იარაღით შედუღების დანადგარი, სანთურა შლანგით, აირალური შედუღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწყობილობა/აცეტილენის გენერატორი და სანთურების კომპლექტი) დროული შესყიდვა და ინსტალაცია განსაზღვრულ 6-თვიან ვადაში - იმ მოდულების დაწყებამდე, სადაც ხდება აღნიშნული რესურსების გამოყენება, სწავლის შედეგების სრულფასოვანი და შეუფერხებელი მიღწევის უზრუნველსაყოფად.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 23-ს, მათ შორის 7 არის პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება. ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ კოლეჯის სხვა პროფესიული პროგრამების ფარგლებშიც, თუმცა ყველა მასწავლებლის საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და სრულად შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს.

პროგრამის მდგრადობისა და ადამიანური რესურსის ანალიზმა აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის რეალურად საჭირო დარგობრივი მასწავლებლების რაოდენობა სრულად არის უზრუნველყოფილი არსებული 7 პროფესიული მასწავლებლით. აღნიშნული პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი მოდულებისა და სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის მოთხოვნებს. მოდულების მიხედვით კოლეჯს ჰყავს მოდულზე ძირითადად ორი ან სამი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის - პროგრამის უწყვეტობის გარანტიას, მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას, მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ “შედეგების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის, შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები. ასევე, პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას, ხოლო ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდულად გადიან სხვადასხვა სახის შიდა და გარე ტრენინგებს.

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის ფორმის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია როგორც სწავლების გამოცდილება, ასევე პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსების არსებობა და სტუდენტთათვის მათი ხელმისაწვდომობა დადასტურდა ექსპერტთა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რესურსები სრულ თანხვედრაშია პროგრამის მოდულებით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და საბიბლიოთეკო ფონდის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები სრული მოცულობითაა განთავსებული და ხელმისაწვდომი კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთათვის შეუფერხებელი წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია მათ ინდივიდუალურ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე. ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესის ეფექტიანად მართვის მიზნით, დაწესებულებაში დასაქმებულია შესაბამისი სპეციალისტი, რომლის ფუნქციურ მოვალეობებშიც შედის სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო გარემოსა და პროცესის ინდივიდუალიზება, ასევე სამუშაო და სასწავლო მასალების ადაპტირება

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 10-ით. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- შესაბამისობის გეგმა
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები
- ვიზუალური დათვალიერება
- ბიბლიოთეკა
- კოლეჯის ვებგვერდი
- ინტერვიუირება

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა, რომელიც ეფუძნება დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა“ (მართვის ციკლი: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“) და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესს“. აღნიშნული მარეგულირებელი ჩარჩო განსაზღვრავს პროგრამის შეფასების, განვითარების, ხარისხის ანალიზისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, კოლეჯი იყენებს „კვლევის მეთოდოლოგიით“ დადგენილ უკუკავშირის ინსტრუმენტებს. კერძოდ, მეორე სტანდარტის შეფასებისთვის ტარდება პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და პარტნიორ ორგანიზაციათა გამოკითხვა. უკუკავშირის ანალიზი, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სოციალურ პარტნიორებთან, სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან ერთად, საფუძვლად უდევს სწავლების ციკლის დასრულების შემდეგ პროგრამაში საჭირო ცვლილებების ინიცირებას.

ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს. აღნიშნული პროცესი რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებითა“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესით“. პროგრამის ხარისხის შეფასება ხორციელდება სასწავლო და შეფასების პროცესებზე დაკვირვებით, ასევე სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგად. აღნიშნული კვლევების ანალიზი გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისთვის.

პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურას განსაზღვრავს აღნიშნული წესის მე-4 მუხლი, რომლის მიხედვითაც ცვლილების ინიცირების უფლება აქვთ ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მასწავლებელს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ცვლილებები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სწავლების თითოეული ციკლის დასრულებისას დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების შედეგებს და საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს მასში სათანადო ცვლილებების ინიცირებას.

ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- კვლევის მეთოდოლოგია
- ჩატარებული კვლევები
- ინტერვიუირება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროგრამის სპეციფიკისა და განხორციელების თავისებურებების სრული გათვალისწინებით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა გადანაწილებულია ლოგიკურად და ოპტიმალურად, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების ეტაპობრივ და ხარისხიან მიღწევას.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი კომუნიკაცია ხდება როგორც მატერიალური, ისე ციფრული საშუალებებით. სტუდენტთა ხელსაყრელი გრაფიკის უზრუნველსაყოფად სწავლება მიმდინარეობს ორ ცვლაში.

თითოეული პროგრამის სასწავლო გეგმა მკაფიოდ განსაზღვრავს სწავლის შედეგებსა და ხანგრძლივობას. გაუთვალისწინებელი/ფორსმაჟორული სიტუაციების დროს, სტუდენტთა ინტერესების დასაცავად, კოლეჯი იყენებს მოქნილ მექანიზმებს, რაც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენასა და დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას შიდა წესების დაცვით. ასევე, სრულად უზრუნველყოფილია ინკლუზიური სასწავლო გარემო სსსმ/შშმ პირებისთვის

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება კოლეჯში სისტემურ ხასიათს ატარებს. მასწავლებლები რეგულარულად მონაწილეობენ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების შესახებ ორგანიზებულ ტრენინგებში, რომლებსაც ახორციელებს როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ისე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (რაც დადასტურებულია შესაბამისი სერტიფიკატებით, ცნობებითა და დასწრების აღრიცხვის ფორმებით).

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას მასტერკლასებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებით. გარდა ამისა, დარგობრივი სიახლეებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, დაწესებულება უზრუნველყოფს მოწვეულ დარგობრივ ექსპერტებთან შეხვედრებსა და მასწავლებელთა პერიოდულ ვიზიტებს პარტნიორ საწარმოებში.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 10/02/2021 წლის N10 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 18/08/2023 N68 ბრძანება) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სსსმ/შშმ) პირებისთვის, ისე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისთვის.

შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესი ინიცირდება საჭიროების გამოვლენისთანავე. კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი. კომისია შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, აფასებს პროგრამულ თავსებადობას და შესაბამის ოქმს პროექტთან ერთად წარუდგენს დირექტორს. შემუშავებული გეგმა დადგენილ ვადებში ეცნობა პროფესიულ სტუდენტს. სასწავლო პროცესში პედაგოგები ეფექტიანად ითვალისწინებენ სტუდენტთა ინდივიდუალურ თავისებურებებსა და საჭიროებებს

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და არ საჭიროებს გარე პრაქტიკას

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯი პასუხისმგებელია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღების" თეორიული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი კოლეჯის ტერიტორიაზე ცალკე მდებარე სახელოსნოში. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, ჰყავს უსაფრთხოების სპეციალისტი. სახელოსნოში გამოკრულია უსაფრთხოდ მუშაობის წესები და უსაფთხოების ნიშნები. გარემო უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციით, ასევე ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. გარემოში წარმოდგენილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები-შემდუღებლის ფარი, დამცავი სათვალეები, ხელთათმანები დამზადებული უწვი მასალით და სხვ. კოლეჯის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდება უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად. მოწყობილია უსაფრთხოების მანიშნებლები, გამოკრულია შესაბამისი ინსტრუქციები. გარემო აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, კვამლის დეტექტორებით და სხვ. კოლეჯში მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- უსაფრთხოების წესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიურება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯში დანერგილი სტუდენტთა შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. პროცესი რეგულირდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მე-5 თავი):

ინსტრუმენტების ვალიდაცია: მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ტექნიკურ შემოწმებას სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან, ხოლო შინაარსობრივ ვალიდაციას - დარგის სპეციალისტთან.

პროცესების რეგულირება: წესი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის, შემუშავებისა და შიდა მონიტორინგის მექანიზმებს, ადმინისტრირებას, შედეგების ნიშანდებასა და სტუდენტთა ინფორმირებას.

სტუდენტზე ორიენტირებული პროცედურები: მკაფიოდ არის გაწერილი განმეორებითი შეფასების ვადები, რაოდენობა, აპელაციის, უარყოფითი შეფასების მიღებისას სტუდენტთა კონსულტირების, მტკიცებულებათა შენახვისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა მოიცავს შიდა ვერიფიკაციის ეფექტიან მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის, ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების სრულ შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან. ვერიფიკაცია ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს და ხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან 6 თვეში ერთხელ, წინასწარ განსაზღვრული რისკების შეფასების სისტემის შესაბამისად (პირველ ეტაპზე მაღალი/კრიტიკული რისკფაქტორების შემოწმებით).

პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო ტექნიკურ და შინაარსობრივ მხარეს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით ამოწმებენ სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი სპეციალისტები. შემოწმების შედეგად დგება კომპლექსური დასკვნა, რომლის საფუძველზეც, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მუშავდება შესაბამისი სამოქმედო გეგმა კონკრეტული ვადებით, ინდიკატორებითა და მონიტორინგის მექანიზმებით.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან, შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულების მიხედვით ცალ–ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად.
ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად (დამტკიცებული 10/02/2021-ის №10 ბრძანებით; ცვლილება: 18/08/2023-ის №68 ბრძანება), დაწესებულებაში მკაფიოდ არის რეგულირებული პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებისა და კონსულტირების სერვისები შეფასების შედეგებთან დაკავშირებით.

კოლეჯში სისტემატურად ხორციელდება სტუდენტთა შეფასების მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები შესრულებულ სამუშაოზე იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს - პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის სრული დაცვით. სასწავლო პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება განმავითარებელ შეფასებას; იგი მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, ზუსტად შეაფასოს მასალის გააზრების დონე, მოარგოს სწავლების სტრატეგია ჯგუფის საჭიროებებს და მისცეს სტუდენტს პრაქტიკული რეკომენდაციები განმსაზღვრელი შეფასებისთვის უკეთ მოსამზადებლად. გარდა ამისა, შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის - აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები მოდულების მიმდევრობაში, სწავლების მეთოდოლოგიაში, შეფასების ინსტრუმენტებსა თუ სასწავლო რესურსებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მათ შორის, უწყისები და მტკიცებულებები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ვერიფიკაციის მექანიზმები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 02.09.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: